

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია
მონიტორინგის შედეგები
(07.09.2013 – 20.09.2013)**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილება დაამტკიცა.

დადგენილების თანახმად განისაზღვრა, რომ კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან, უშუალოდ განხორციელოს მედია მონიტორინგი ან/და, გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კომისია თავად ატარებს წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგს. საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი კენჭისყრამდე 50 დღით ადრე დაიწყოს. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა კერძო საერთო ლიცენზიის მფლობელი კომპანია და საზოგადოებრივი მაუწყებელი.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია.

მეთოდოლოგია:

კომისიის მონიტორები მონიტორინგის განხორციელების დროს ყურადღებას ამახვილებენ როგორც თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, ასევე რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი, სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო პოლიტიკური რეკლამის, როგორც ფასიანის, ასევე უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიანი და განჭირვალე განაწილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვა. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიის მხრიდან ბალანსის დაცვაზე, ასევე, ახალი ამბების მიუკერძოებელი და სამართლიანი გაშუქების უზრუნველყოფაზე და ბოლოს, თითოეული კვალიფიციური სუბიექტისთვის დათმობილი საეთერო დროის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. კომისიის მონიტორების დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ

წარმოადგენენ კვალიფიციურ სააჩვენო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2013 წლის 07 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით.

(07.09–20.09)

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (36.7%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (32.4%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (10.3%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „არჩევანი“, „პოზიცია“ და „P.S.“. 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში გადაცემაში „P.S.“ განთავსდა სიუჟეტები „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ხალხის პარტიის“ შესახებ. კერძოდ. გადაცემაში გავიდა სიუჟეტები ირინე იმერლიშვილისა და კობა დავითაშვილის შესახებ.

ამავე პერიოდში გადაცემას „არჩევანი“ სტუმრობდნენ „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ (ერთხელ) და „სამართლიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) პრეზიდენტობის კანდიდატები, ხოლო გადაცემას „პოზიცია“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. ამასთანავე, გადაცემა „პოზიციაში“ შედგა დებატები „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ საინფორმაციო გამოშვებებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



შპს „ტელეიმედი“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქრისტიან დემოკრატიულ მოძრაობას“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელეიმედის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (46.2%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (16.4%). დამოუკიდებელი დროის

მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (14.8%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეიმედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეიმედმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეიმედის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელეიმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ღია ეთერი“ და „პოლიტიკის დრო“. 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში გადაცემას „ღია ეთერი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ წევრები (ორჯერ), მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. რაც შეეხება პროგრამას „პოლიტიკის დრო“, მონიტორინგის პერიოდში გადაცემას პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ (ერთხელ) და „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წევრები. ამასთანავე, გადაცემაში „პოლიტიკის დრო“ შედგა დებატები „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის.

შპს „ტელეიმედის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს „ტელეიმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში შპს „ტელეიმედის“ მიერ საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში გაშუქდა „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ ყრილობა, რაც აისახა ტელეკომპანიის მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის დათმობილი დროის გრაფიკზეც.



შპს „სტუდია მაესტრო“

შპს „სტუდია მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებებში („მაესტრო“ და „მაესტრო 24“) დრო მეტწილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.


შპს „სტუდია მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (30.4%) და „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ (29.3%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (11.4%). მეოთხე ადგილზე მოხვდნენ „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ (10.2%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „სტუდია მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.maestro.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „სტუდია მაესტრომ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „სტუდია მანესტროს“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „სტუდია მანესტროს“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. შპს „სტუდია მანესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (26.3%) და „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (18.8%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (12.3%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

II არხის – მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ II არხზე განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემები „ბრიფინგის დრო“ და „თავისფალი ტრიბუნა“. მონიტორინგის პერიოდში ზემოაღნიშნულ პროგრამებს პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნება–დემოკრატიული მოძრაობის“


„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“, „სახალხო პარტიის“, „ევროპელი დემოკრატების“, „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრები და პრეზიდენტობის კანდიდატები ლევან ჩაჩუა და მიხეილ სალუაშვილი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (34.2%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (20.3%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ხალხის პარტია“ (11.6%). მეოთხე ადგილზე მოხვდნენ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ (11.3%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „სამართალი ხალხისათვის“. 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში გადაცემას „სამართალი ხალხისათვის“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ წევრები. კერძოდ, გადაცემას სტუმრობდა პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მიერ საინფორმაციო გამოშვებებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მეტწილად უზრუნველყოფილი არ არის ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა.



შპს „ტელეკომპანია კავკასია“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (41.2%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (30.1%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


შპს „ტელეკომპანია კავკასიას“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის, გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „არჩევანი 2013“, „ცხელი ხაზი“, „სპექტრი“ და „ბარიერი“.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში გადაცემას „ბარიერი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. ამავე პერიოდში გადაცემას „სტუდია სპექტრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, გელა სალუაშვილი, ხოლო გადაცემას „არჩევანი 2013“ სტუმრობდა „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ზურაბ ხარატიშვილი. ამავე პერიოდში გადაცემას „ცხელი ხაზი“ სტუმრობდა „ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი კობა დავითაშვილი.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში და საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამებში უმეტესად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების

შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ სამაუწყებლო ბადის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში კომპანიას საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებისათვის დრო არ დაუთმია.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.fmabkhazia.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, ააიპ „მედია ცენტრმა ღია აფხაზეთისათვის“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ააიპ „მედია ცენტრის ღია აფხაზეთისათვის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (52.7%). მეორე ადგილზე მოხვდნენ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ (25.5%), ხოლო მესამეზე „ხალხის პარტია“ (21.8%) (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obiektivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ საკუთარ ეთერში განთავსებული აქვს საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „ღამის სტუდია“ და „ვერსიის საათი“. მონიტორინგის პერიოდში გადაცემას „ღამის სტუდია“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველოს (ორჯერ), „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წევრები. ამავე პერიოდში გადაცემას „ვერსიის საათი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წევრი.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში და საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამებში მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებათ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



შპს „პალიტრა TV“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „პალიტრა TV“-ს საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (65%). დათმობილი დროის მიხედვით მეორე ადგილზე მოხვდა „დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველო“ (20%). მესამე ადგილზე მოხვდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13%) (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „პალიტრა TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


შპს „პალიტრა TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.palitratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „პალიტრა TV“-მ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „პალიტრა TV“-ს ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „პალიტრა TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „მოკლე ჩართვა“, სულხან მელაძის საავტორო გადაცემა „რატომ“, „ემას შოუ“ და

„პროვოკატორი“. 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში აღნიშნულ გადაცემებს პოლიტიკური პარტიებიდან არავინ არ სტუმრობდა.

შპს „პალიტრა TV“-ს მიერ საინფორმაციო გამოშვებებში მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. შპს „პალიტრა TV“-ს ეთერში კვალიფიციურ სპარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ხალხის პარტიას“ და „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ხალხის პარტიას“ (57.5%) და „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ (21.4%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (13.5%), ხოლო მეოთხე ადგილზე „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ (7.6%) (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.facebook.com/trialeti.tvradio) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის

ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ხოლო სტუდიაში მოწვეული სტუმრების შერჩევისას დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



აიიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

აიიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (35.1%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (34.8%).


დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ხალხის პარტია“ (19.2%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tabula.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში მეტწილად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „TV3“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ და „დემოკრატიული მოძრაობა–ერთიან საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.


შპს „TV3“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართული ოცნება–დემოკრატიულ საქართველოს“ (49.9%) და „დემოკრატიული მოძრაობა–ერთიან საქართველოს“ (44.2%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „TV 3“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „TV 3“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv3.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „TV 3“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „TV 3“-ს წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „TV 3“-ის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „TV 3“-ის საინფორმაციო გამოშვებებში მეტწილად უზრუნველყოფილი არ არის ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. შპს „TV 3“-ის მიერ საინფორმაციო გამოშვებებში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

შპს „ტელეკომპანია თანამგზავრის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (60.5%) და „დემოკრატიული მოძრაობა–ერთიან საქართველოს“ (17.1%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tanamgzavri.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს ტელეკომპანია „თანამგზავრმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „დიალოგი“. 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში აღნიშნულ გადაცემას პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. შპს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“

შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის“ სამაუწყებლო ბადის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში კომპანიას საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებისათვის დრო არ დაუთმია.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvegrisi.ucoz.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი

ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის“ მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგო“

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ სამაუწყებლო ბადის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში კომპანიამ საინფორმაციო გამოშვებებში დრო მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატს ლევან ჩაჩუას დაუთმო.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წლის 07 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.argotv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგომ“ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებში უზრუნველყოფილი არ არის ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოჩენა. შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმაცია ტელევიზია არგოს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.

შპს „ტელე-რადიო კომპანია ბორჯომი“

საინფორმაციო გამოშვებებში დრო მეტწილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.


